ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
სხდომის ოქმი №3

ბაბა ქედა, 11.10.2023 წელი

სხდომა დაიწყო 11:30 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 12:00 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ვაჟა აბულაძე - ქედის მუნიციპალიტეტის სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი;
რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი;
გოჩა გორგილაძე - კომისიის წევრი;
ლევან ვერძაძე - კომისიის წევრი;

სხდომას არ ესწრებოდა:
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი;
შორენა კარანაძე - კომისიის წევრი;
დავით სირაბიძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

11.10.2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	მარინა ბარამიძე	კომისიის წევრი	
3	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	
4	გოჩა გორგილაძე	კომისიის წევრი	
5	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
6	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
7	დავით სირაბიძე	კომისიის წევრი	
8	შორენა კარანაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“-ს დაფუძნებაზე ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ.**

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“-ს დაფუძნებაზე ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის განკარგულების პროექტი.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტისათვის ბოლო წლებში პრიორიტეტულ დარგს წარმოადგენს ბავშვთა ფეხბურთის განვითარება და ხელშეწყობა.

ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი წინადადებით მიზანშეწონილა ბავშვთა ფეხბურთის განვითარების მიზნით შეიქმნას ახალი ორგანიზაცია არასამაეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახით, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება იქნება - ქედის მუნიციპალიტეტში ბავშვთა ფეხბურთის განვითარება და ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა, ფეხბურთის პოპულარიზაცია და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობებში.

არსებული ბავშვთა ფეხბურთის სექცია ფუნქციონირებას ახალი ორგანიზაციის შემადგენლობაში გააგრძელებს და აქტიურად იქნება ჩართული სპორტულ ცხოვრებაში.

კომისიის წევრებს საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:

მომხრე: 5

წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“-ს დაფუძნებაზე ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:00 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ვაჟა აბულაძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში ციური ზაქარაძე